

**საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული 2025 წლის ანგარიში**

**მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ (მუხლი 49 (ა))**

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	11 განცხადება (18 ინფორმაცია)
დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა	11 განცხადება (18 ინფორმაცია)
მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებათა რაოდენობა	0
განხილვის ეტაპზე არსებულ მოთხოვნათა რაოდენობა	0

**მონაცემები საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა შესახებ (მუხლი 49 (ა))**

საჯარო ინფორმაციაში შესწორების მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	0
დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა	0
მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებათა რაოდენობა	0
განხილვის ეტაპზე არსებულ მოთხოვნათა რაოდენობა	0

**მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის შესახებ (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი) (მუხლი 49 (ბ))**

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეა მარიკა დვალი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსი.

**ინფორმაცია საჯარო მონაცემთა ბაზების შესახებ (მუხლი 49 (გ))**

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის სისტემაში მოქმედებს შემდეგი მონაცემთა ბაზები:

- ადმინისტრაციაში შემოსული და გასული კორესპონდენციის მონაცემთა ბაზა;
- სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზა;
- ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მონაცემთა ბაზა.

**მონაცემები საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ (მუხლი 49 (გ))**

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება და გაცემა ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს პერსონალურ მონაცემებზე არაუფლებამოსილ პირთა წვდომას. ამასთან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

**მონაცემები საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ (მუხლი 49 (დ))**

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში 2025 წლის განმავლობაში არ გამოვლენილა.

**საკანონმდებლო აქტები, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას (მუხლი 49(ე))**

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ფაქტი.

**მონაცემები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ (მუხლი 49 (ვ))**

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტი.

**მონაცემები საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ (მუხლი 49 (ზ))**

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით არ წარმოშობილა ხარჯები და ადგილი არ ჰქონია ადმინისტრაციისათვის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.